ხელშეკრულება № 3

ქ. თბილისი 18.01.2016

ერთის მხრივ, წიგნის გამავრცელებელი კომპანია შპს „წიგნის სამყარო“ (შემდგომში გამყიდველი მის: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი), მისი გაყიდვების სამსახურის უფროსის, ნათია ჩარექიშვილის სახით, და მეორეს მხრივ შ.პ.ს “საქწიგნი” (მის: ქ.თბილისი, თამარ მეფის ქ №14) (შემდგომში მყიდველი) მისი გენერალური დირექტორის ომარ კერესელიძის სახით ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი აწვდის მყიდველს ერთჯერადი შესყიდვის წესით ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული ღირებულების წიგნებს

1.2. მყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წიგნების ღირებულება, მე-3 მუხლში აღნიშნული პირობებით.

1.3 მყიდველი და გამყიდველი თანხმდებიან წიგნების სარეკომენდაციო საცალო ღირებულებაზე (შემდგომში საცალო ღირებულება).

2. წიგნების ღირებულება

2.1. ერთჯერადი შესყიდვის წესით შეძენილი წიგნების ღირებულება განისაზღვროს სარეკომენდაციო საცალო ფასიდან 25 % - იანი ფასდაკლებით, წიგნების ღირებულების ანაზღაურება მოხდეს 3.1. მუხლის მიხედვით

2.2. წიგნების საერთო ღირებულება განისაზღვროს მიწოდებული წიგნების თანმხლები საბუთებით. (იხ ს/ზ 0217092903)

2.3. გამყიდველი მყიდველს მიაწვდის ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალ წიგნებს.

2.4. ნივთობრივად უნაკლო წიგნების ქვეშ იგულისხმება წიგნები, რომელიც ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის, ხოლო უფლებრივად უნაკლო წიგნების ქვეშ იგულისხმება, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მყიდველს შეძენილი წიგნების გამო.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 ერთჯერადი შესყიდვის წესით შეძენილი წიგნების ღირებულების ანაზღაურება მოხდეს წიგნების მიწოდებიდან ერთ კალენდარულ თვეში ნაღდი ან უნაღდი ანგარიშსწორებით

4. პროდუქციის მიწოდების ადგილი და დრო

4.1 წიგნების მიწოდება მოხდეს ქ. თბილისში მყიდველის ობიექტზე (ქ. თბილისი, (ქ.თბილისი, თამარ მეფის ქ №14)

4.2 წიგნების მიწოდების დრო შეთანხმდეს მხარეებს შორის.

5. საკუთრების უფლების გადასვლა

5.1. საკუთრების უფლება წიგნებზე, მყიდველზე გადადის კანონით დადგენილი წესით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

6.2. გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ წიგნები ნამდვილად მას ეკუთვნის, მოპოვებული აქვს კანონიერი გზით, არ არსებობს არავითარი პრეტენზია ან სარჩელი სასამართლოში ან კერძო არბიტრაჟში წიგნების საკუთრების უფლებაზე, ასევე რომ არ არის დაგირავებული ან სხვადასხვაგვარად დატვირთული.

6.3. ხელშეკრულების 3.1: მუხლის დარღვევის შემთხვევაში გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით

7. დამატებითი პირობები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 27 ნოემბრამდე, მაგრამ არაუადრეს მხარეთა მიერ ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

7.2. ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში ხდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით.

7.3. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდა მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმეს განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4. ყოველივე, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, განიხილება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითოეული მხარისთვის.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამყიდველი	**მყიდველი**
შპს „წიგნის სამყარო“ ს/კ 200126782 საქ.-ს ბანკის ცენტრ. ილიალი	შ.პ.ს “საქწიგნი” ს/კ 202888269
ბანკის კოდი BAGAGE22	
მიმღების ანგარიშის № GE02BG0000000113331500	მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის ქ №14 ტელ: 2-95-83-99
მიმღები: შპს "წიგნის სამყარო"	
იურიდ. მის. ქ. თბილისი გლდანის Vმკ/რ. Xკორპ. ბ№4	
ტელ: 2-61-[illegible]21 2-18-41-21	
გაყიდვების სამსახურის უფროსი:	დირექტორი:
ნათია [illegible]ილი	ომარ კერესელიძე